ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №3

დაბა ქედა,

28 მაისი, 2025 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტანი ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

28.05.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ვაჟა აბულაძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
7	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
8	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისში მდებარე მოქალაქე შოთა ბერიძის უძრავი ნივთის (ს/კ 21.07.31.084) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელდების თაობაზე.**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

2. **ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურში მდებარე მოქალაქე ზურაბ ბერიძის უძრავი ნივთის (ს/კ 21.08.36.043) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელდების თაობაზე.**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე.

1. მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის აპრილის თვეში შემოვიდა (განცხადების ნომერი:06-95251064-95; განცხადების თარიღი:16.04.2025) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი სოფელ წონიარისში მცხოვრები მოქალაქე შოთა ბერიძის განცხადების თაობაზე, რომელიც მოითხოვს მისამართის მინიჭებას უძრავ ნივთზე, რომლის საკადასტრო კოდია 21.07.31.084.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია წარმოდგენილი დოკუმენტებით გავიდა ადგილზე საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად. ტერიტორიული არეალის დათვალიერებით და ელექტრონული რუკის შესაბამისად დადგინა, რომ არსებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებულ საავტომობილო გზას მიენიჭოს სოფელ წონიარისის მე-12 ქუჩის სახელი, ხოლო მოქალაქე შოთა ბერიძის უძრავი ნივთის (ს/კ 21.07.31.084) მიმდებარედ განთავსებულ საავტომობილო გზას მე-12 ქუჩის I ჩიხი და ქუჩების დასახელება დატანილი იქნას ორთოფოტოზე.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-12 ქუჩა და მე-12 ქუჩის I ჩიხი ორთოფოტოს თანახმად.

2. დაევალოს საკრებულოს იურიდიულ განყოფილებას შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2024 წლის დეკემბრის თვეში შემოსულია (განცხადების N:06-95243651-95; განცხადების თარიღი: 30.12.2024) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი სოფელ კოკოტაურში მცხოვრები ზურაბ ბერიძის უძრავი ნივთის (ს/კ21.08.36.043) მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელდების შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია წარმოდგენილი დოკუმენტებით გავიდა ადგილზე საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად. ტერიტორიული არეალის დათვალიერებით და ელექტრონული რუკის შესაბამისად დადგინა, რომ მიზანშეწონილია სოფელ კოკოტაურის მე-5 ქუჩა გაგრძელდეს ორთოფოტოს შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურის მე-5 ქუჩა გაგრძელდეს ორთოფოტოს შესაბამისად.
2. დაევალოს საკრებულოს იურიდიულ განყოფილებას შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნესტან ბერიძე